

ჩვენ მივალდებით კალმასზე თევზაობის უფლებას!!!

ნადირთბა თევზათბა



მაისი 2012

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის ყოველთვიური ჟურნალი

№ 1

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის მიმართვა


სამონადირეო
ტურიზმის
პერსპექტივები

რა სპრინგბლუზი
მოაქვს
თევზაობას

კაღლით
ნადირობის
ტრადიციები

ნადირობა –
ვილირობით
ადამიანის გატაცება

FLY FISHING



სოფა რამ
ნადირობის
ისტორიიდან

ბაზიარის
ხელოვნება
საქართველოში

მეთევზის
საბადინწარო
უხედოვა

ფასი 3 ლარი

ISSN 2298-0156



9772298015004



მარცხნიდან მარჯვნივ: საერთაშორისო საფარი კლუბის ევროპის რეგიონალური ხელმძღვანელი ნორბერტ ულმანი, საერთაშორისო საფარი კლუბის პრეზიდენტი კევინ ანდერსონი, საერთაშორისო საფარი კლუბის საქართველო, კავკასიის წარმომადგენლობის პრეზიდენტი თეიმურაზ ტყემალაძე, საერთაშორისო საფარი კლუბის საქართველო, კავკასიის წარმომადგენლობის ვიცე-პრეზიდენტი გოჩა კობერიძე

მარტო უშუალოდ ნადირობისთვის გაცემული ლიცენზიების ღირებულება, არამედ ის არაპირდაპირი შემოსავალებიც, რომელსაც იძლევა სამონადირეო ტურიზმი (ტრანსპორტი, სასტუმრო, საკვები, ტანსაცმელი, ტყვია-წამალი, დასაქმებული პერსონალის ხელფასები და მათგან გამონვეული ყველა ბეგარა). მონადირეების მიერ გაკეთებული თითოეული შენაძენი ჯაჭვური რეაქციით აისახება ეკონომიკაზე. ნადირობის დადებითი ეკონომიკური გავლენა ქმნის სამუშაო ადგილებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, დღეისათვის საქართველოში სამონადირეო ტურიზმი ქაოსურად ვითარდება. მან მიაღწია ე.წ. “ველური” ნადირობის შესაძლო მაქსიმალურ ზღვარს და მისი ასეთი სახით შემდგომი არსებობა მიუღებელია. ფართოდ გავრცელებულმა ბრაკონიერობამ გადაშენებამდე მიიყვანა ფაუნის მრავალი ბინადარი, მათ შორის ენდემური ჯიშები (ირემი, ჯიხვი, კავკასიური როჭო და სხვა), მოუფლელობამ და განუკითხავმა ექსპლუატაციამ გააპარტახა უნიკალური ტყეები და სამონადირეო სავარგულები, დაარღვია საქართველოში არსებული ეკოლოგიური ბალანსი.

დაზიანებული ეკოსისტემის, ფლორისა და ფაუნის აღდგენა, სატყეო მეურნეობებისა და სხვა სავარგულების ათვისება, კეთილმოწყობა, მათი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა მუდმივ მუშაობასა და მზრუნველობას მოიხრავს, რაც დიდ და უწყვეტ კაპიტალდაზღვრებებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის მომენტი, რომ ეს ინვესტიციები რადიკალურად გააუმ-

ჯობესებს ამ რეგიონების (მთა, ჭალა, უდაბნო) მცხოვრებთა სოციალურ მდგომარეობას.

სავარგულების გარდაქმნა და სწორი მოწყობა მსხვილი ინვესტიციების “უნყვეტ ნაკადს” მოითხოვს. სამონადირეო მეურნეობების თანამედროვე, ევროსტანდარტების მიხედვით მოწყობა არ მიეკუთვნება სწრაფად განხორციელებად საქმიანობათა რიგს. საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა სამონადირეო ტურიზმის განვითარებას, სამონადირეო მეურნეობები იქმნებოდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ბოლო ოცი წლის მანძილზე კი ეს საქმე ფაქტიურად თვითდინებაზეა მიშვებული, რამაც სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

არსებული სიტუაციიდან ხსნა მხოლოდ სამონადირეო ტურიზმის მდგრად განვითარებას შეუძლია, რომელიც საქართველოში მიმართული უნდა იყოს ძირითადად კონსერვაციისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება-განვითარებისკენ. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საუკეთესო პირობებშიც კი, ნებისმიერი ტერიტორიის მოწყობა მინიმუმ ათწლიან მიზანმიმართულ შრომას მოითხოვს. სამონადირეო კომპლექსის ამუშავებასთან დაკავშირებული მრავალი ქვედარგი (ტრანსპორტი, სასტუმრო, აღჭურვილობა, ვაჭრობა და ა.შ.) ფუნქციონირების დაწყებისთანავე იღებს მოგებას მისგან გამონვეული სხვადასხვა გადასახადებით, ხოლო საკუთრივ სამონადირეო მეურნეობა მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ხდება რენტაბელური, მით

„საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასი“-ის მოსაზრება საქართველოში სამონადირეო ბიზნესის განვითარების თაობაზე

„საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასია“ მსოფლიოში წამყვანი ორგანიზაციის „საერთაშორისო საფარი კლუბის“ წევრია, რომელიც ხელს უწყობს ნადირობის უფლებების დაცვას, ველური ბუნების კონსერვაციას და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ქვეყნის უნიკალური ძეგლები, ეთნოგრაფია და გეოგრაფიული მრავალფეროვნება შედარებით მცირე ტერიტორიაზე განაპირობებს იმას, რომ ტურიზმი მოიაზრება მისი განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ტურიზმის მრავალ მიმართულებას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სამონადირეო და სათევზაო ტურიზმის მდგრადი განვითარება.

მრავალი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია სამონა-

დირეო ტურიზმს. ასე მაგალითად: „მეთევზეობისა და ველური ბუნების სააგენტოების საერთაშორისო ასოციაციის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ნადირობას აშშ-ს ეკონომიკისთვის წელიწადში 67 მილიარდი დოლარი შემოსავალი მოაქვს და ერთ მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის. შთამბეჭდავია ნადირობის ბიზნესის სხედრითი წილი ევროპის შედარებით მცირე ფართობის მქონე ქვეყნების (ბულგარეთი, ბელგია, ჩეხეთი, უნგრეთი, ალბანეთი და ა.შ.) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში, რაც მისაბამი მაგალითს უნდა წარმოადგენდეს საქართველოში სამონადირეო ბიზნესის განვითარების საქმისთვის.

აღსანიშნავია, რომ სამონადირეო ბიზნესი ამ ქვეყნებში განიხილება როგორც მრავალგვარი ახალი მოთხოვნილებების შემქმნელი საქმიანობა, ანუ მის მიერ „წარმოქმნილ“ შემოსავალს მიეკუთვნება არა-



მარცხნიდან მარჯვნივ: საერთაშორისო საფარი კლუბის ევროპის რეგიონალური ხელმძღვანელი ნორბერტ ულმანი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა გამცემლიძე, საერთაშორისო საფარი კლუბის პრეზიდენტი კევინ ანდერსონი, საერთაშორისო საფარი კლუბის საქართველო, კავკასიის წარმომადგენლობის პრეზიდენტი თეიმურაზ ტყეშელაშვილი